


**პროგრამა**

**რეგიონები**

**საქართველოსთვის**



ძლიერი სახელმწიფოს საფუძველი არის ძლიერი რეგიონები. სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესი სრულფასოვანი ვერ იქნება მხოლოდ ცენტრალიზებული მმართველობის პირობებში. იმისათვის, რომ მმართველობის სისტემამ სათანადოდ უპასუხოს არსებულ გამოწვევებს და საზოგადოებრივ მოთხოვნებს, აუცილებელია რეგიონების გაძლიერება მათთვის შესაბამისი ეკონომიკური ფუნქციის მინიჭება/აღდგენის გზით, ადგილობრივად მეტი ეკონომიკური შესაძლებლობებისა და სამუშაო ადგილების შექმნა, უფლებამოსილებისა და რესურსების მეტად გადანაწილება მმართველობის ცენტრალურ და ადგილობრივი თვითმმართველობის დონეებს შორის.

შესაბამისად, სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერების და ქვეყანაში ყველასთვის თანაბარი, კონკურენტული პირობების შექმნის პარალელურად, ჩვენი ამოცანა იქნება რეგიონების გაძლიერება, თითოეულ რეგიონებში არსებული ეკონომიკური პოტენციალის გამოყენების და განვითარებისთვის ახალი სტიმულების შექმნის, რეგიონების მიერ საკუთარი როლის გამოკვეთის და გამოყენების გზით. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანი იქნება ადგილზე სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერება, დეცენტრალიზაციის და ძლიერი ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბების მეშვეობით.

ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევისთვის, ჩვენი რეგიონული პოლიტიკა ორიენტირებული იქნება შემდეგ 3 მიმართულებაზე:

რეგიონების ეკონომიკური გაძლიერება

ჯანდაცვა და სოციალური დაცვა ადგილობრივ დონეზე

დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერება.

წინამდებარე პროგრამაში მოცემულია ის ღონისძიებები, რომელიც მომდევნო 4 წლის განმავლობაში უზრუნველყოფს საქართველოს რეგიონების ეკონომიკურ განვითარებას, ძლიერი სამედიცინო და სოციალური დაცვის უზრუნველყოფას, თვითმმართველი ერთეულების ინსტიტუციურ გაძლიერებას და მათ გარდაქმნას ახალ ეკონომიკური მიზიდულობის ცენტრებად.

## 1. რეგიონების ეკონომიკური გაძლიერება

რეგიონების ეკონომიკური გაძლიერების პოლიტიკა ემსახურება თითოეული რეგიონისთვის ეკონომიკური ფუნქციის შექმნა/აღდგენას და შედეგად, ადგილზე მეტი ეკონომიკური შესაძლებლობის და მეტი სამუშაო ადგილის შექმნას, მეტ შემოსავლებს თითოეული ოჯახისთვის. აღნიშნული მიიღწევა მეტი ეკონომიკური თავისუფლებით ადგილობრივ დონეზე, სამეწარმეო ინიციატივების მხარდაჭერით, რეგიონალური ინვესტიციების მოზიდვით და საინვესტიციო აქტიურობის ამაღლებით.

ახალი რეგიონული პოლიტიკის მეტი ეფექტიანობისთვის, მისი მიზნები მორგებული იქნება დასახლებული პუნქტების ზომაზე, დასახლების განვითარების პოტენციალზე და სხვა ფაქტორებზე. კერძოდ:

1. მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით მცირე დასახლებებში (50 კომლამდე/არაუმეტეს 200 მოსახლისა), ახალი რეგიონული პოლიტიკის ფარგლებში ორიენტირი გაკეთდება საბაზო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე, სოფელში დამატებით არანაკლებ ერთი ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზებულ განვითარებაზე - სამეწარმეო, ტურისტული თუ სხვა კომერციული საქმიანობის მიმართულებით, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საზღვრისპირა და საოკუპაციო ხაზთან მსგავსი დასახლებების ეკონომიკურ გაძლიერებას, სოფელსა და ურბანულ ცენტრებს შორის მობილობის ხელშეწყობას, სოფელსა და ურბანულ ცენტრს შორის ეკონომიკური და სოციალური კავშირების გაძლიერებას. აღნიშნულის ფარგლებში:

- განხორციელდება სასოფლო-სამეურნეო ან/და ტურისტული ან/და წიაღისეული რესურსების კონსოლიდაციის ხელშეწყობა, რისთვისაც სახელმწიფო განახორციელებს მცირე დასახლებების ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროგრამას. პროგრამის ფარგლებში, თითოეულ ასეთ სოფელში გამოვლინდება საუკეთესო სამეწარმეო ინიციატივის ავტორი/ავტორები, რომელსაც სახელმწიფო, თანადაფინანსების ფარგლებში, გამოუყოფს 50 000 ლარამდე რესურსს, ასევე, აღმოუჩენს ბიზნესის პროექტის დაგეგმვის და განხორციელებისთვის საჭირო ტექნიკურ დახმარებას.

- გატარდება მცირე დასახლებებისთვის ბიო და ორგანული მეურნეობების, როგორც პირველადი, ასევე გადამამუშავებელი წარმოების განვითარების სახელმწიფო ხელშეწყობის პოლიტიკა;

- საზღვრისპირა და საოკუპაციო ხაზთან მდებარე მცირე სოფლების ეკონომიკური გაძლიერების მიზნით, ამ სოფლებისთვის შემუშავდება განვითარების სტრატეგია, რომელიც მოიცავს როგორც სოფლების ეკონომიკური გაძლიერების ღონისძიებებს, ასევე სოციალური განვითარებისთვის აუცილებელი სხვა საჭიროებების (სოციალური სტრუქტურა, დემოგრაფიული სტრუქტურა, სპორტული, კულტურულ-საგანმანათლებლო საჭიროებები და სხვა) უზრუნველყოფის ღონისძიებებს;

2. მჭიდროდ დასახლებული სოფლებისა და დაბებისთვის, ჩვენი ახალი რეგიონული პოლიტიკის მთავარი მიზანი იქნება სახელმწიფო სერვისების ეფექტიანობის ზრდა, ორგანიზებული საწარმოო შესაძლებლობების წახალისება, ფერმერული მეურნეობების ზრდის ხელშეწყობა, ახალგაზრდების ეკონომიკური გააქტიურება. აღნიშნული მიზნების მიღწევისთვის განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- სოფლის მეურნეობაში პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით, დაინერგება ხელშეწყობის პროგრამა 1+1, რაც გულისხმობს მეწარმეთა ჯგუფის მიერ ძირითადი საშუალებების შეძენის შემთხვევაში, სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ინვესტიციის ერთმაგი ოდენობით თანადაფინანსებას.

- გაიზრდება საზოგადოებრივი სერვისების განვითარებასთან დაკავშირებული კაპიტალური პროექტების (ბაგა-ბალების, სკოლების და სხვ. მშენებლობა) დაგეგმვის და განხორციელების საკითხებში აღნიშნული დასახლებების შესაძლებლობები, რაც წახალისებს ადგილობრივ დონეზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

- სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამებში წახალისდება ახალგაზრდების მონაწილეობა აღნიშნული პროექტების გადარჩევის და საკონკურსო ეტაპზე.

- სოფლის მეურნეობის ტერიტორიულ ორგანოებში დაინერგება საგანმანათლებლო - საკონსულტაციო მომსახურების პროაქტიული სისტემა, რაც გულისხმობს თანამედროვე აგრო მეურნეობისთვის საჭირო ტრენინგის მიწოდებას მთელი წლის განმავლობაში, დაინტერესებული პირებისთვის წინასწარ, შესაბამისი საკონსულტაციო მომსახურების გაწევას.

- ტერიტორიული დაფარვის არეალში, მიმართვის შესაბამისად, სოფლის მეურნეობის ტერიტორიული ერთეულების მიერ განხორციელდება ფერმერისთვის მისი მეურნეობის ეფექტიანად მოვლა-პატრონობის სახელმძღვანელოს შემუშავება.

3. რაც შეეხება მსხვილი რეგიონული და მუნიციპალური ცენტრების განვითარების საკითხს, ჩვენი მიზანია ისეთი რეგიონული პოლიტიკის გატარება, რაც ხელს შეუწყობს რეგიონებში და მუნიციპალურ ცენტრებში მეტი პერსპექტივის, მეტი ეკონომიკური შესაძლებლობის, მეტი სამუშაო ადგილის გაჩენას და ცხოვრების უფრო მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფას.

რეგიონებსა და მუნიციპალურ ცენტრებში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის, ადგილობრივ მეწარმეთა და ფერმერთა შესაძლებლობების ზრდა განხორციელდება სახელმწიფოს მიერ თანაბარი კონკურენტული პირობების შექმნის და რეგიონებში სამეწარმეო პოტენციალის განვითარების გზით, რის შედეგადაც თითოეული რეგიონი კვლავ შეიძენს თავის ეკონომიკურ ფუნქციას. მათ შორის:

- განხორციელდება მუნიციპალიტეტების ეკონომიკური რესურსების (ბუნებრივი, ადამიანური, ტურისტული, საწარმოო და სხვ.) შეფასება, მათი ისტორიული „დასაქმების“ გამოცდილების ანალიზი და დაიგეგმება რესურსების ეფექტიანად და რაციონალურად ათვისების გზები.

- განხორციელდება რეგიონებში საინვესტიციო აქტივობის გაძლიერება - მუნიციპალიტეტების პოლიტიკა მიმართული იქნება ადგილობრივად ინვესტორებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნაზე, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტებს შორის ჯანსაღი კონკურენციის ჩამოყალიბებას.

- განხორციელდება სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერის პროგრამების მორგება ადგილობრივ საჭიროებებზე, ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, მათ შორის მცირე და საშუალო მეწარმეობაზე ორიენტირებული სახელმწიფო მხარდაჭერის ფუნქციისა და პროგრამების ადგილობრივ დონეზე დელეგირების გზით.

- გაგრძელდება კაპიტალური ინვესტიციები მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროექტის განხორციელება, რაც რეგიონებში დასაქმების ახალ პერსპექტივებს შექმნის.

რეგიონებში ეკონომიკური აქტივობის გაზრდისთვის, მნიშვნელოვანი იქნება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული რესურსების მეტი დეცენტრალიზაცია და გამოყენება ადგილობრივი საჭიროებებისთვის. ამ მიზნით:

- გამარტივდება სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტისთვის ქონების გადაცემის და რეგისტრაციის პროცედურები.

- გაიზრდება სახელმწიფო ქონების განკარგვიდან მიღებულ შემოსავლებში მუნიციპალიტეტის წილი.
- გაძლიერდება მუნიციპალური ქონების პრივატიზება, მიზნობრივი ეკონომიკური აქტივობის წახალისებისთვის.
- სათიბ-სადოვრების და ბუნებრივი და მინერალური რესურსების მართვა დელეგირებული უფლებამოსილებით ეტაპობრივად გადაეცემა მუნიციპალიტეტს მმართველობაში.

ზემოაღნიშნულის გარდა:

- გადაწყდება დაურეგისტრირებელი მიწების პრობლემა ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც ამ მიწას აქცევს ლიკვიდურ აქტივად და იქნება მისი ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვის შესაძლებლობა;
- რეგიონულ დონეზე მოხდება საგანგებო სიტუაციების მართვის ფუნქციების კომპეტენციების მიხედვით გადანაწილება, ადგილობრივად უნარების გაძლიერება, რომელიც ხელს შეუწყობს პრევენციის კუთხით კრიზისების მართვას. ასევე, მოხდება სტიქიასთან ბრძოლის ღონისძიებების განხორციელების ფუნქციის დელეგირება ადგილობრივი თვითმმართველობისთვის, რაც ამ პროცესს გახდის მეტად სამართლიანს და უკეთ მორგებულს ადგილობრივ საჭიროებებზე.

## სოფლის მეურნეობის განვითარება

რეგიონებში ეკონომიკური აქტივობის გაძლიერებისთვის მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარება. ჩვენ დღეს გვაქვს მოცემულობა, როდესაც რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილი ჯერ ისევ ჩაბმულია დაბალპროდუქტიულ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. ჩვენი ამოცანაა:

- სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ხელშემწყობი საინვესტიციო გარემოს ფორმირება.
- აქცენტი მაღალი დამატებული ღირებულების სოფლის მეურნეობის პროდუქციის შექმნაზე, მათ შორის, ფინანსური და ტექნიკური დახმარების გაწევის გზით, ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინებით.
- სოფლის მცხოვრებთათვის შემოსავლის დამატებითი წყაროს გაჩენა, სასოფლო-სამეურნეო აქტივობებზე მიბმული მცირე საოჯახო ბიზნესის, მათ შორის, ბიო და ორგანული მეურნეობის ხელშეწყობის გზით.
- პროდუქციის ექსპორტზე გატანის ხელშეწყობისთვის, ფერმერთა მხარდაჭერის სპეციალური პროგრამების განხორციელება.
- განსაკუთრებული ყურადღება ევროკავშირის ბაზარზე გასვლის ხელშეწყობაზე, მოთხოვნებთან ადაპტაციაში დახმარების გზით.
- ქვეყნის მასშტაბით, საჯარო-კერძო თანამშრომლობის გზით, თანამედროვე სტანდარტების ლოჯისტიკური ცენტრების შექმნა, პროდუქციის შენახვის და გადამუშავების პირობების დაკმაყოფილებისთვის.

## მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია

საქართველოში რეგიონული ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით, სახელმწიფოს მთავარ შესაძლებლობას მცირე ბიზნესის ეკოსისტემა და როგორც მცირე წარმოების, ასევე მომსახურების სფეროს პოტენციალის ათვისება წარმოადგენს.

მცირე ბიზნესის მხარდაჭერის გაძლიერების მიზნით, შეიქმნება სამთავრობო სტრუქტურათა შორის კოორდინაციის მექანიზმი - „მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია“, რომელიც უზრუნველყოფს რესურსების ეფექტიან განაწილებას პოტენციურ ბენეფიციარებზე – საკუთარი ბიზნესის დაწყებისა და განვითარების მსურველ საქართველოს მოქალაქეებზე. კერძოდ, აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს:

- მცირე ბიზნესის ხელშეწყობის ინსტრუმენტების კონსოლიდაციას;
- შესაბამის ტექნიკურ დახმარებას;
- საკონსულტაციო და ინტელექტუალურ მხარდაჭერას;
- მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პოლიტიკის ტერიტორიულ იმპლემენტაციას;
- მუნიციპალური სერვისების ეფექტიანად მიწოდების უზრუნველყოფას;
- ფინანსურ პროდუქტებზე ხელმისაწვდომობას;
- კვალიფიციური ადამიანური რესურსების მობილიზებას;
- ინოვაციურ და სტარტაპ ეკოსისტემასთან ინტეგრაციას და ა.შ.

რეგიონის სპეციფიკის შესაბამისი მცირე ბიზნესის ხელშეწყობისა და განვითარებისთვის, „მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის“ ქვეშ გაერთიანდება სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ინსტრუმენტები. აღნიშნული მექანიზმის ერთ-ერთი ამოცანა იქნება მცირე ბიზნესის ხელშეწყობისთვის ადგილობრივ თვითმმართველობებთან ეფექტიანი კოორდინაცია.

„მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია“ კოორდინაციას გაუწევს მცირე ბიზნესის ფარგლებში ისეთი პროგრამული პრიორიტეტების განხორციელებას, როგორცაა მჭიდროდ დასახლებულ სოფლებში წარმოების ეფექტიანობის ზრდის ხელშეწყობა, მეწარმეთა და ფერმერთა გრძელვადიანი მხარდაჭერა, მცირე ტურისტული პროდუქტებისა და მომსახურების მიწოდება, მცირე სოფლების განვითარება.

## ინფრასტრუქტურის განვითარება/მოწესრიგება

ადგილობრივად მეტი ეკონომიკური შესაძლებლობების და დასაქმების პირობების გაჩენისთვის, მოსახლეობისთვის ცხოვრების სათანადო პირობების შექმნისთვის, მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურული და სხვა საერთო რეგიონალური პრობლემების ეფექტიანი გადაწყვეტა. ამ მიზნით:

- მუნიციპალიტეტებში გადაიჭრება სასმელი წყლის არსებული პრობლემა და მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება 24-საათიანი წყალმომარაგებით;
- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სარწყავი წყლის პრობლემას, რომლის გადაჭრა მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის;
- გაგრძელდება შიდა, მეორადი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია / მშენებლობა;
- მცირე დასახლებებისთვის მოხდება სასმელი წყლის ინფრასტრუქტურის, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის, გაზიფიკაციის და ინტერნეტიზაციის ეროვნულ გეგმაში აღნიშნული სოფლების პრიორიტეტიზაცია;
- მოწესრიგდება სატრანსპორტო და საგზაო ინფრასტრუქტურა, მათ შორის, გადაიხედება მუნიციპალური სატრანსპორტო განრიგი, გაუმჯობესდება სატრანსპორტო მომსახურება, მოხდება გზების საფარის და გზებზე სადრენაჟო სისტემის გაუმჯობესება და ა.შ;
- ადგილობრივად განისაზღვრება 24-საათიანი წყალმომარაგების უზრუნველყოფის, გაზიფიკაციის, მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და საგზაო ინფრასტრუქტურის მოსახლეობისთვის მისაღები პრიორიტეტიზაციის პირობებში განხორციელება.
- სპეციალური კრიტერიუმების მიხედვით, მოხდება წვრილი და საშუალო კულტურულ-საგანმანათლებლო, ჯანდაცვის, სპორტული ობიექტების მშენებლობა და რეაბილიტაცია;
- დასრულდება საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროექტი, მათ შორის, კერძო სექტორის ჩართულობით, რაც ადგილობრივ განვითარებას დამატებით სტიმულს მისცემს.

ამასთან, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასთან ერთად, პრიორიტეტული იქნება განხორციელებული სამუშაოების ხარისხის კონტროლის მექანიზმების ადგილობრივ დონეზე გაძლიერება.

ასევე, ქვეყნის მაკროეკონომიკური ინტერნეტით მოცვის პარალელურად, რეგიონებში განხორციელდება მოსახლეობისთვის სპეციალური პროფესიული სწავლების შეთავაზება, რაც მოიცავს ელექტრონული კომერციის და სხვა სერვისების შესწავლას. აღნიშნული უზრუნველყოფს დასაქმების ახალი შესაძლებლობების გაჩენას საქართველოს რეგიონებში.

## 2. ჯანდაცვა და სოციალური დაცვა ადგილობრივ დონეზე

რეგიონების ეკონომიკურ გაძლიერებასთან ერთად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტებში ჯანდაცვის და სოციალური დაცვის სისტემის გაძლიერება, განსაკუთრებით პანდემიის შემდგომ პერიოდში. ამ მიზნით:

- განხორციელდება მუნიციპალიტეტების დონეზე პირველადი ჯანდაცვის რგოლის გაძლიერება, რომელმაც უნდა შეასრულოს ე.წ. „მეკარიბჭის“ როლი და უზრუნველყოს მოქალაქის ყოვლისმომცველი, ხელმისაწვდომი, სათემო პრინციპზე დაფუძნებული მომსახურება. ჯანდაცვის სახელმწიფო პოლიტიკა მეტად იქნება აქცენტირებული პრევენციულ მექანიზმებზე.
- გაძლიერდება სოფლის ექიმის ინსტიტუტი როგორც ხარისხის, ისე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.
- დაინერგება მედპერსონალის დასაქმების ისეთი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს მუნიციპალურ დონეზე მეტი კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის დასაქმებას, რაც გაზრდის პირველადი ჯანდაცვის სერვისების ხარისხს.
- მუნიციპალიტეტებში გაიზრდება მრავალპროფილურ სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობა, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს რეფერირებისას პაციენტის ლეტალობის მაჩვენებელს.
- ჩამოყალიბდება სამედიცინო დაწესებულებების მუნიციპალური ქსელი (კერძო სექტორის ჩართულობით). ასევე, დაინერგება ხარისხის მართვის ახალი პრინციპები (კონტროლის და მონიტორინგის მიმართულებით), რაც სამედიცინო სერვისებს მეტად ეფექტურს გახდის.
- გაიზრდება ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მედიკამენტების ხარჯების დაფინანსების მასშტაბი პრიორიტეტული კატეგორიების მიხედვით. მოხდება ნოზოლოგიური ჯგუფების დიფერენცირება და აქედან გამომდინარე, გამოიკვეთება დაავადებების შესაბამისად ბენეფიციართა ფოკუს ჯგუფები.

- განხორციელდება სოციალური დაცვის სისტემის ადგილობრივ დონეზე განვითარება - სოციალური პრობლემები საჭიროებს სწრაფ და ეფექტურ რეაგირებას ადგილზე. ამ ვითარებაში ადგილობრივი თვითმმართველობა ყველაზე ეფექტური და ხელმისაწვდომი რგოლია მოსახლეობისთვის, ვინაიდან ცენტრალური დონიდან ხშირ შემთხვევაში ხდება რეალური საჭიროებების არასათანადოდ შეფასება.

- სოციალური სერვისებისთვის ადგილობრივად ხელმისაწვდომი იქნება მეტი ფინანსური რესურსი, ხოლო თავად სერვისები იქნება უფრო გამარტივებული.

- განხორციელდება მუნიციპალიტეტებში შშმ პირთა საჭიროებებზე მორგებული სერვისების დანერგვა და არსებულის გამართვა. პირველ ეტაპზე, მოხდება სკოლების და ბაღების ინფრასტრუქტურის ადაპტირება, ასევე, ინკლუზიური განათლების განვითარება პედაგოგების შესაბამისი გადამზადების საფუძველზე. ხელი შეეწყობა შშმ პირებისთვის ადაპტირებული სამუშაო ადგილების შექმნას.

- განხორციელდება საცხოვრებელი სახლების გადახურვების რეაბილიტაციის პროგრამა, რომლითაც ისარგებლებენ სოციალურად შეჭირვებული მოქალაქეები, ასევე მრავალშვილიანი ოჯახები, მარტოხელა დედები, მარტოხელა მოხუცები, ვეტერანები. საცხოვრებელი გადახურვების რეაბილიტაციის პროექტი წარიმართება საერთაშორისო პარტნიორების დახმარებით და აზბესტის შემცველი, ჯანმრთელობისათვის საშიში გადახურვები ჩანაცვლდება ეკოლოგიურად უსაფრთხო გადახურვებით.

### 3. დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერება

რეგიონების გაძლიერება აუცილებლად გულისხმობს ძლიერ ადგილობრივ თვითმმართველობას, ძლიერ ინსტიტუტებს ადგილობრივ დონეზე.

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული პრინციპი - სახელმწიფო ხელისუფლებისა და თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილების გამიჯვნა სუბსიდიარობის პრინციპის საფუძველზე - არის ის ბაზისი, რომელზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს საბჭოური მემკვიდრეობით მიღებული ცენტრალიზებული მართვის საბოლოო გარდაქმნა - ცენტრიდან ადგილებზე უფლებამოსილებების თანდათანობითი გადატანა და მმართველობის რეალური დეცენტრალიზაცია.

ამ მიზნით, განხორციელდება თვითმმართველობის რეფორმის ახალი ეტაპი, რომლის მთავარი ფოკუსი იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერება. რეფორმა დაეფუძნება დეცენტრალიზაციის 2 მიმართულებას:

ფისკალური დეცენტრალიზაცია

ინსტიტუციური დეცენტრალიზაცია

ფისკალურ დეცენტრალიზაციას საფუძვლად დაედება შესაბამისი სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს:

- შესაბამისი საკანონდებლო ჩარჩოს, პრიორიტეტიზაციის წესების, თვითმმართველი ერთეულების ფინანსური რესურსების საჯარო ანგარიშგების და საზოგადოების ჩართულობის პრინციპებს ისე, რომ უზრუნველყოს თვითმმართველი ერთეულებისთვის ადეკვატური და დასაბუთებული ფინანსური რესურსების მიწოდების, მათი შემოსავლების დაგეგმვის, ადმინისტრირების, ზედამხედველობის და თვითმმართველი ერთეულების ანგარიშვალდებულების გარანტიები.

- მუნიციპალიტეტისთვის თითოეული ფუნქციის გადაცემისას განხორციელდება აღნიშნულ ფუნქციაზე მიმართული სახსრების ანალიზი, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ისე მშპ-სთან და საგადასახადო შემოსავლებთან მიმართებაში, რის შემდეგაც განისაზღვრება ფუნქციასთან ერთად გადასაცემი ფინანსური რესურსების მოცულობა.

- ამავდროულად, კორუფციული და სხვა რისკების მინიმიზაციისთვის, პროცესში დაინერგება „რისკების დაზღვევის“ მექანიზმები და რეგიონების დაფინანსება გახდება მუნიციპალიტეტის საჭიროებებსა და მათ მიერ გასული წლების „შედეგიანობაზე“ დაფუძნებული.

- მთელი ქვეყნის მასშტაბით დაინერგება “სახალხო ბიუჯეტის” კონცეფცია, რომელიც გულისხმობს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის კანონით დადგენილი წილის განკარგვაში ფართო საზოგადოების ჯგუფების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების და პრიორიტეტული პროექტების განსაზღვრის პროცესებში.

- მოხდება სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების ბიუჯეტში საქართველოს თვითმმართველი ერთეულების კვოტების განსაზღვრა, რეგიონის განვითარების პოტენციალის შესაბამისად დადგენილი წესის მიხედვით.

ზემოაღნიშნული ფუნქციების ეფექტიანად განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობების ინსტიტუციური გაძლიერება და კვალიფიკაციის ზრდა, მეტი ეფექტიანობა და კეთილსინდისიერება, მეტი სახელმწიფო სერვისის ადგილობრივ დონეზე ეფექტიანად მიწოდება. ამ მიზნით, განსახორციელებელია ინსტიტუციური დეცენტრალიზაცია, რომელიც მოიცავს:

- მეტი კომპეტენციის გადაცემას ცენტრალური დონიდან ადგილობრივი თვითმმართველობისთვის; მეტი ფუნქციის და რესურსის გადაცემას ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მისაღებად და სერვისების განსახორციელებლად;
- ახალი მუნიციპალური სერვისების განვითარებას - კომუნალური სერვისების, დიფერენცირებული მუნიციპალური სერვისების და სხვა მიმართულებების გაძლიერებისა და ელექტრონული სერვისების დანერგვის გზით;
- მუნიციპალური სერვისების ერთიანი სტანდარტის დანერგვას;
- ადმინისტრირებისა და სატარიფო პოლიტიკის განსაზღვრის მეტი ავტონომიის მიცემას ადგილობრივი თვითმმართველობისთვის.

მთავარ პრობლემას ადგილზე სახელმწიფო ბიუროკრატის დაბალი ხარისხი და გადაწყვეტილებების სწრაფად მიღების შეუძლებლობა წარმოადგენს. აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრა მოხდება, ერთის მხრივ, მუნიციპალიტეტებისთვის მეტი უფლებამოსილებების გადაცემით, ხოლო

მეორეს მხრივ, ადგილობრივი ბიუროკრატის პროფესიული და კვალიფიციური ნიშნით დაკომპლექტებით.

ადმინისტრაციული ორგანოები გახდება მაქსიმალურად ღია და მოქალაქეებს ექნებათ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის მეტი შესაძლებლობა.

ამასთან, პრინციპულად მნიშვნელოვანი იქნება რეგიონებში კორუფციის აღმოფხვრა, ადგილზე ანტიკორუფციული მექანიზმების გაძლიერება და ეფექტიანი აღსრულება, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა პრევენციულ სისტემურ მექანიზმებს.

ზემოაღნიშნულის გარდა, საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესის ფარგლებში, მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს მუნიციპალიტეტების ევროკავშირის თვისებრივად მსგავს მუნიციპალიტეტებთან დამეგობრება და თანამშრომლობა - ეკონომიკური, ინდუსტრიული, ტურისტული, ინსტიტუციური და სხვა მიმართულებებით. აღნიშნული არა მხოლოდ გამოცდილების გაზიარებას უზრუნველყოფს, არამედ საქართველოს მუნიციპალიტეტებში ახალი ინიციატივების და ინვესტიციების ხელშემწყობი იქნება.

## „მიზიდულობის ცენტრები“

რეგიონებში ახალი შესაძლებლობების გაჩენისა და სამუშაო ადგილების შექმნისთვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი პოტენციალის ათვისების ხელშეწყობა. ეს მიზანი მიიღწევა სახელმწიფოსა და კერძო სექტორის თანამშრომლობით.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ჩვენ განვახორციელებთ პროგრამას „მიზიდულობის ცენტრები“, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკური აქტივობის ახალი ცენტრების გაჩენას რეგიონებში სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების განხორციელების გზით (მათ შორის, საჯარო-კერძო თანამშრომლობის მოდელით).

აღნიშნული კონცეფცია ეფუძნება რეგიონებში არსებული პოტენციალის და ეკონომიკური შესაძლებლობების ანალიზს და განვითარების ტენდენციების გამოვლენას. კონცეფცია მოიცავს სხვადასხვა სფეროს, მათ შორის, სოფლის მეურნეობას, ტურიზმს, ინდუსტრიას და ა.შ.

ამ მოდელის განხორციელება განსაკუთრებით ეფექტურია ტურიზმის სფეროში იმ რეგიონებში, სადაც არსებობს ტურისტული დანიშნულების ადგილები, თუმცა, ისინი ნაკლებად ცნობადი და პოპულარულია ან ტურისტული პოტენციალის თვალსაზრისით სრულიად ახალ ადგილებში. კერძოდ, არსებული ტურისტულად მიმზიდველი ადგილების განვითარების გარდა, ხელი შეეწყობა ახალი ტურისტული მიზიდულობის ცენტრების ჩამოყალიბებას, მათ შორის:

- ქვემო ქართლში შეიქმნება ე.წ. „გერმანული დასახლებების“ ტურისტული აგლომერაცია ბოლნისსა და ასურეთში, სადაც სახელმწიფო ინვესტიციები უზრუნველყოფს ისტორიული უბნების სრულ რეაბილიტაციას და კერძო სექტორის მხარდაჭერას ეკონომიკური ინიციატივების განხორციელებაში. გარდა ამისა, ქვემო ქართლს აქვს ადამიანის ევოლუციის ისტორიის ტურისტული მიმართულების განვითარების პოტენციალი „პირველი ევროპელის ნაკვალევზე“, რომელიც მოიცავს ბოლნისის მუზეუმს, დმანისის ნაქალაქარს და შულავერის, გადაჭრილი და იმირის გორის „ვაზის მარშრუტს“, სადაც ასევე შესაძლებელია ღვინის მუზეუმის განვითარება. ახალი ტურისტული მარშრუტი ასევე გაზრდის ალგეთის ეროვნული პარკის და ბირთვისის კანიონების ტურისტულ პოტენციალს.

- რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში მნიშვნელოვანია შაორის ტბის პოტენციალის ათვისება. ასევე, განსაკუთრებული ტურისტული პოტენციალი გააჩნია შოვისა და უწერას ისტორიულ კურორტებს, ასევე ღების თემის ახალ ტურისტულ მიმართულებას.

- სამცხე-ჯავახეთში ახალი ტურისტული მიმართულებების განვითარება შესაძლებელია ერთის მხრივ, კოლორიტული ისტორიული სოფლების (მაგ: გორელოვკა) რეაბილიტაციის გზით, ასევე ფოკას მიმართულებით პილიგრიმული ტურისტული მარშრუტის ჩამოყალიბებით და აბასთუმნის ახალი ტურისტული ცენტრის გარშემო ტურისტული აგლომერაციის შექმნით. ვარძიისა და მიმდებარე ტერიტორიების საფუძველზე (სოფლები გოგამენი, აფნია და სხვა) ახალი, მაღალი კლასის ტურისტული მიმართულების განვითარება.

- სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ჩამოყალიბდება რამდენიმე ახალი ტურისტული ცენტრი, მათ შორის, აბაშაში ტურისტული ცენტრი აკაკი ხოშტარას სახლ-მუზეუმის გარშემო, სენაკის მუნიციპალიტეტში, ნოქალაქევში ციხე-გოჯის გარშემო ახალი ტურისტული ცენტრი და დედამოკას ხეობის პოტენციალის ათვისება, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ინწრას ხეობის ტურისტული პოტენციალის განვითარება, მაღალმთიან სამეგრელოში დაცული ტერიტორიების განვითარება, ლეზარდეს კურორტის აღდგენა/რეაბილიტაცია, ბალნეოლოგიური ტურისტული მიმართულების განვითარება მენჯის და ცაიშის კურორტების აღდგენა/რეაბილიტაციით, კოლხეთის ეროვნული პარკის/პალიასტომის ტბის ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება/განვითარება. ასევე, უდიდესი ტურისტული პოტენციალი გააჩნია ზემო სვანეთს, სადაც შესაძლებელია არსებული მიზიდულობის ცენტრების შემდგომი განვითარება, ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნის გზით. როგორც ბუნებრივი პირობების, ისე კულტურული მემკვიდრეობის გათვალისწინებით, არსებობს ოთხივე სეზონის მაღალი კლასის ტურისტული ცენტრის განვითარების შესაძლებლობა.

- კახეთში ყვარელი-თელავის ტურისტული აგლომერაციის განვითარება; არსებული ტურისტული მიმართულებების გაძლიერება, თელავში ტურისტული დანიშნულების აეროპორტის განვითარება.

- მცხეთა-მთიანეთში, უპირველეს ყოვლისა, ქალაქ მცხეთის შემდგომი განვითარება გენგემის დამტკიცების საფუძველზე, ასევე სოფელ მუხრანის, როგორც ახალი ტურისტული მიმართულების განვითარება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს ბაზალეთის ტბას და სიონის წყალსაცავს, მათზე შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების გზით. ახალი ტურისტული მიმართულების განვითარება შესაძლებელია დუშეთის მუნიციპალიტეტში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის მე-19 საუკუნის ჭილაშვილების სასახლის ციხე-დარბაზის და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რეაბილიტაციით და მათი ერთიან კონტექსტში განხილვით. ყაზბეგის მუნიციპალიტეტში თრუსოს ხეობას გააჩნია უდიდესი ტურისტული პოტენციალი, კერძოდ, მნიშვნელოვანია რესტავრაცია ჩაუტარდეს ისტორიულ კომპლექსს, სოფ. დესის ნასოფლარს და ა.შ.

- გურიაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მაღალი კლასის კურორტების შექმნას ბახმაროს და გომისმთის მიზნობრივი განვითარებით, ასევე, მოხდება საზღვაო და სამთო კურორტების კლასტერული განვითარება პრინციპით „ზღვა და მთა“. ამ მიზნით, ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების საზღვაო კურორტებზე (შეკვეთილი, გრიგოლეთი) ტურისტებისთვის უნდა მოხდეს მაღალმთიან გურიაში ტურისტულად მიმზიდველი როგორც მოკლევადიანი გასვლითი, ისე რამდენიმე დღიანი ტურისტული პროდუქტების შეთავაზება. მნიშვნელოვანი ტურისტული პოტენციალი გააჩნია ასევე, მდინარე სუფსის ხეობას, მის მარჯვენა და მარცხენა მხარეს მდებარე ისტორიული სოფლებით (ბუკისციხე, იანეული, ერკეთი) და მდინარე სუფსის ზემო წელში მდებარე სოფელ სურებს, რომლის ტერიტორიაზეც ზღვის დონიდან 2655 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს უნიკალური ჯაჯის ტბა. ჯაჯის ტბასთან მიმავალი საავტომობილო გზის მოწესრიგება სრულიად ახალ პოტენციალს შესძენს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს, მათ შორის ისეთ ტურისტულ პროდუქტებზე დამატებითი მოთხოვნის გაჩენით, როგორცაა საცხენოსნო ტურიზმი, ჯომარდობა მდინარე სუფსაზე და მის ხეობაში მდებარე სოფლებში საოჯახო ტიპის სასტუმროები, ღვინის მარნები და სადეგუსტაციო სივრცეები. აღსანიშნავია, რომ გურიას საერთაშორისო ტურიზმთან ერთად, შიდა ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნია განსაკუთრებით სათავგადასავლო, შემეცნებითი, კულტურული, ეკო, აგრო და გასტრონომიული ტურიზმის მიმართულებით. ცალკე მიმართულებაა ღვინის ტურიზმი, რომელიც მოიცავს გურიაში არსებულ უნიკალურ ენდემურ ჯიშებს.

- იმერეთში მნიშვნელოვანი ტურისტული პოტენციალი გააჩნია ქალაქ ქუთაისს და მის გარშემო ტურისტულ აგლომერაციას როგორც ისტორიული ძეგლების, ისე თანამედროვე ტურისტული მიმართულებების თვალსაზრისით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ტურისტული და სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობა. ასევე, მნიშვნელოვანია წყალტუბოს ბალნეოლოგიური კურორტის რეაბილიტაცია და მისი განვითარება საერთაშორისო ტურისტულ მიმართულებად. დამატებითი უპირატესობა ამ შემთხვევაში აქვს ქუთაისის აეროპორტის სიახლოვეს.

- შიდა ქართლში ატენის და რკონის ხეობების ტურისტული პოტენციალის ათვისება, სათავგადასავლო და ღვინის ტურიზმის და დაცული ტერიტორიის განვითარების თვალსაზრისით. გორის ციხის სრული რეაბილიტაცია/დაბრუნება და ახალ ტურისტულ ლოკაციად გადაქცევა. კასპის მუნიციპალიტეტის სოფელი ნოსტეს „მოურავის კოშკის“ აღდგენა. ძამას ხეობის დაკავშირება მიტარბი-ბაკურიანთან. სურამის ტურისტული მიზიდულობის ცენტრის შექმნა შესაბამისი ტურისტული ინფრასტრუქტურის ფორმირებისა და თავისუფალი ტურისტული ზონის ჩამოყალიბების გზით; სურამის ციხის რეაბილიტაცია.

- აჭარაში ქობულეთი-ბათუმი-გონიოს მრავალფუნქციური ტურისტული აგლომერაციის განვითარება, მაღალმთიანეთში ახალი ტურისტული მიმართულებების განვითარება, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა/რეაბილიტაციის გზით.

პროგრამის მიხედვით, სახელმწიფოს მიერ ინფრასტრუქტურის შექმნის ან კერძო სექტორის მიერ შესაბამისი ინფრასტრუქტურული თუ სხვა ტიპის მასშტაბური პროექტის განხორციელების პარალელურად, სახელმწიფო დაეხმარება ადგილობრივ მოსახლეობას, დაიწყონ/გააფართოონ ბიზნესი, რათა გამოიყენონ ახალი შესაძლებლობები და შექმნან სამუშაო ადგილები. ამ მიზნით, გამოყენებული იქნება ყველა არსებული ინსტრუმენტი, მათ შორის სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერის პროგრამების სხვადასხვა კომპონენტები, ასევე, თავისუფალი ტურისტული ზონების საკანონმდებლო ჩარჩო შესაბამისი განახლებებით და ა.შ. გარდა ამისა, მცირე დასახლებების შემთხვევაში, მოსახლეობას შეეძლება ყველა იმ ინიციატივით სარგებლობა, რომელიც ჩვენი პროგრამული ხედვით არის გათვალისწინებული.

ზემოაღნიშნულის გარდა, მეტი ეფექტიანობისთვის და ქვეყნის ტურისტული პოტენციალის ათვისების მიზნით, სამთო კურორტებზე შემოვა ჰიბრიდული მართვის მოდელი, როდესაც კურორტის მართვის დელეგირება მოხდება კერძო სექტორზე შესაბამისი, მკაცრად გაწერილი პირობებით. შედეგად, გაიზრდება კურორტის განვითარების და მოვლა-პატრონობის ეფექტიანობა.

## „რეგიონების ახალი პოტენციალი“

თითოეული რეგიონისთვის მოხდება ეკონომიკური ფუნქციის შექმნა/აღდგენა - რეგიონების „ახალი პოტენციალის“ შექმნა. ჩვენი ხედვით, რეგიონების ეკონომიკური ფუნქცია მოიცავს შემდეგს:

- იმერეთი - საწარმო-ლოჯისტიკური, სამრეწველო, ტურისტული და საგანმანათლებლო ცენტრი;
- მცხეთა-მთიანეთი - სატრანსპორტო-სატრანზიტო და ტურისტული, განსაკუთრებით ზამთრის ტურიზმის ცენტრი;
- კახეთი - საწარმოო, აგარარული და ტურისტული ცენტრი;
- შიდა ქართლი - სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის, ასევე ტურისტული ცენტრი;
- ქვემო ქართლი - აგროსამრეწველო და ტურისტული ცენტრი;
- რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - მაღალი კლასის ტურისტული მიზიდულობის ცენტრი;
- სამცხე-ჯავახეთი - აგარარული და ტურისტული მიზიდულობის ცენტრი;
- სამეგრელო-ზემო სვანეთი - სატრანსპორტო-ლოჯისტიკური-სატრანზიტო, საწარმოო, სოფლის მეურნეობის და ტურიზმის ცენტრი;
- გურია - სოფლის მეურნეობის, სატრანსპორტო და ტურისტული ცენტრი;
- აჭარა - ტრანსპორტის, საწარმოო და ტურისტული ცენტრი.

ჩვენ განვახორციელებთ მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ და სხვა პროექტებს რეგიონებში, მუნიციპალიტეტებსა და სოფლებში, რაც ხელს შეუწყოს რეგიონების „ახალი პოტენციალის“ შექმნას. მათ შორის, თვითმმართველ ქალაქებსა და რეგიონულ ცენტრებში განხორციელდება შემდეგი მასშტაბური პროექტები:

- თბილისი - ურბანული განვითარების პარალელურად, მსხვილ ქალაქებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაფართოება/განვითარება. ამ კუთხით, თბილისში განხორციელდება მეტროს გაფართოების პროექტი დიდი დილმის, ლილოსა და აეროპორტის მიმართულებით, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტის კუთხით არსებულ ვითარებას, ასევე მნიშვნელოვნად გაზრდის ახლადდაკავშირებულ რაიონებში ეკონომიკურ აქტივობას და უძრავი ქონების ღირებულებას. ჩვენ განვიხილავთ მეტროს განვითარების პროექტის დაფინანსებას მუნიციპალური ფასიანი ქაღალდების გამოშვებით და პროექტში ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის, ქართული დიასპორის ჩართულობით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია თბილისში მეტი რეკრეაციული სივრცის შექმნა, მათ შორის, ქალაქის ცენტრალური მულტიფუნქციური ზონის (რკინიგზის ყოფილი სამეურნეო ტერიტორია, 72 ჰა) განვითარება, სატრანსპორტო კორიდორის შენარჩუნებით და რეკრეაციული ფუნქციის პრიორიტეტით, ასევე მდინარე მტკვრის გასწვრივ იდენტიფიცირებული საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაციის პროექტების განხორციელება და სხვა.

- რუსთავი - თბილისის მეტროს გაფართოების ფარგლებში, მნიშვნელოვანი პროექტი იქნება ქალაქ რუსთავის დაკავშირება თბილისთან მეტროს ხაზით და რუსთავი-თბილისის აგლომერაციის შექმნა. აღნიშნული მნიშვნელოვნად გაამარტივებს ქალაქების ურთიერთკავშირს, მოსახლეობის გადაადგილებას სამუშაო და სხვა მიზნებისთვის და ხელს შეუწყობს რუსთავში ეკონომიკური აქტივობის გაუმჯობესებას, ქონების ღირებულების გაზრდას, დასაქმების მეტი პერსპექტივების გაჩენას. ასევე, ქალაქში მოწესრიგდება ეკოლოგიასთან დაკავშირებული პრობლემები, საწარმოებისთვის შესაბამისი მოთხოვნების დაწესების და მათი პრაქტიკაში ეფექტიანი აღსრულების გზით. გარდა ამისა, მოხდება ძველი რუსთავის ტერიტორიაზე, ცენტრალური პარკის ტერიტორიასთან, მტკვრის სანაპიროდან ნაგავსაყრელის გადატანა ქალაქის საზღვრებს მიღმა. მნიშვნელოვანია ქალაქ რუსთავში სარეკრეაციო ზონების მოწყობა, მათ შორის, მტკვრის სანაპიროზე ლანდშაფტური პარკის მოწყობის პროექტის განხორციელება. ასევე, გაგრძელდება ქალაქის წყალმომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებები და სპორტულ-საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია.

- ფოთი - ხელი შეეწყობა ფოთის საერთაშორისო მნიშვნელობის ლოჯისტიკურ ჰაბად ჩამოყალიბებას და ფოთის აეროპორტის განვითარებას სატვირთო გადაზიდვებისთვის. განხორციელდება ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის გაფართოება და ყულევთან კავშირის გაუმჯობესება, ლოჯისტიკისა და სატრანსპორტო დარგების განვითარება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ქალაქის სანიაღვრე სისტემის შექმნა/რეაბილიტაციას. საწარმოო შესაძლებლობების ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვანი იქნება ეკოლოგიის საკითხი, რისთვისაც საწარმოებს დაეკისრებათ შესაბამისი გარემოსდაცვითი ვალდებულებები და მოხდება მათი შესრულების მკაცრი მონიტორინგი. ზემოაღნიშნულის გარდა, ფოთს მნიშვნელოვანი ტურისტული პოტენციალი გააჩნია. ამ მიზნით, განხორციელდება ქალაქში გამავალი რიონის ზღვასთან შეერთების დელტის გაწმენდა და არსებული ნიკოლაძის 23 ჰა კუნძულის გამოყენება ტურისტული ატრაქციების მოსაწყობად. განხორციელდება მალთაყვის სანაპირო ზოლის განვითარება.

- ქუთაისი - განვითარდება ქუთაისის აეროპორტის სატვირთო ტერმინალი და აეროპორტის გარშემო მსხვილი, რეგიონალური მნიშვნელობის საწარმო-ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურა. ქუთაისის ტურისტული შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, ქალაქში განხორციელდება ისტორიული ქუჩების შემდგომი რეაბილიტაცია, შესაბამისი ინფრასტრუქტურული პროექტები, მდინარის ნაპირზე საზოგადოებრივი სივრცეებისა და განაშენიანების დეტალური გეგმების შედგენა და მისი მიმზიდველი ქალაქმაცხოვრებელი პოტენციალის გამოყენება. ამასთან, უზრუნველყოფილი იქნება აბასთუმანთან, საირმესთან, რაჭისა და სვანეთის რეგიონებთან გამარტივებული და დაჩქარებული წვდომა. მუნიციპალიტეტის ინდუსტრიული განვითარების მიზნით, განხორციელდება არსებული ინდუსტრიული არეალების, მათ შორის თავისუფალი ინდუსტრიული ზონების ხელშეწყობა საკანონმდებლო და ტექნოლოგიურ-ინფრასტრუქტურულ დონეზე - მიტოვებული, უფუნქციოდ დატოვებული ინფრასტრუქტურის და საწარმოო ტერიტორიების გადახედვა/ათვისება, ქალაქის მასშტაბით საწარმოო არეალების კომპაქტურობის უზრუნველყოფა, საწარმოო არეალებთან სატრანსპორტო კავშირების უზრუნველყოფა. ხელი შეეწყობა ქუთაისის საგანმანათლებლო ცენტრად ჩამოყალიბებას, მათ შორის, მოხდება ქუთაისის პარლამენტის შენობის ბაზაზე მართლმსაჯულების საერთაშორისო საგანმანათლებლო ცენტრის დაფუძნება და სხვა.

- ბათუმი - განხორციელება პორტისა და აეროპორტის კონცეფციის ცვლილება; ქალაქის ურბანული განვითარებიდან აქცენტის ეკოლოგიურად სუფთა ტურიზმის განვითარებაზე გადატანა, ქობულეთი-ბათუმი-გონიოს მრავალფუნქციური ტურისტული აგლომერაციის ჩამოყალიბება. ამასთან, დასრულდება „ოცნების ქალაქის მშენებლობა“, რაც წლების განმავლობაში არსებულ მნიშვნელოვან სოციალურ პრობლემას მოაგვარებს. ბათუმის ტურისტული შესაძლებლობების გაზრდისთვის, დასრულდება ბათუმის შემოვლითი გზის პროექტი, რაც სრულად განტვირთავს მოძრაობას ტურისტულ ზონაში. გარდა ამისა, განხორციელება ბათუმი-სარფის გზის მშენებლობა და ამით აჭარაში დასრულდება ჩქაროსნული ავტომაგისტრალის განვითარება. ასევე, მოხდება ყოფილი ნავთობგადამამუშავებელი კომბინატის ტერიტორიის განვითარების მიმართულების დადგენა და ტერიტორიული რესურსის გამოყენება ქალაქის პრიორიტეტული განვითარებისთვის; პორტის მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგება და მისი ტურისტული პოტენციალის გამოყენება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ქალაქის სანიაღვრე სისტემის გაფართოებას და გამტარუნარიანობის გაუმჯობესებას.

- გორი - განხორციელება დღეის მდგომარეობით ქაოტურად განვითარებული არეალების მოწესრიგების პროექტი 3 არეალისთვის (ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარედ, მელიქიშვილის ქუჩის მიმდებარედ, ვერხვების უბანში). შემუშავდება განაშენიანების რეგულირების გეგმები კომბინატის ყოფილი საწარმოო ტერიტორიის, წმინდაწყლის უბნის და ჭალის უბანში, მერიის მიმდებარე ტერიტორიისთვის; განვითარდება ქალაქის სანიაღვრე სისტემა; შემუშავდება გორის კულტურული უბნის განვითარების კონცეფცია/ხედვა; განვითარდება სპორტულ-საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა; გაგრძელდება წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა/რეაბილიტაცია. განხორციელება გორის ორი დიდი უბნის (წმინდაწყლის და კომბინატის) დამაკავშირებელი ახალი ხიდის მშენებლობა, რომელიც განტვირთავს ავტოტრანსპორტის მოძრაობას და შექმნის ახალ ეკონომიკურ შესაძლებლობებს. გორის მუნიციპალიტეტს გადაეცემა უფლისციხის და სტალინის მუზეუმები, რაც შექმნის მეტად ეფექტური მართვის შესაძლებლობას, როგორც ტურისტული პოტენციალის, ასევე ამ მუზეუმების ინფრასტრუქტურული მოწესრიგების და განვითარების თვალსაზრისით.

- ზუგდიდი - განხორციელდება ზუგდიდის დასავლეთის ერთ-ერთ სატრანსპორტო/სატრანზიტო ჰაბად ჩამოყალიბება, ასევე მოხდება ტურიზმისა და ლოჯისტიკის განვითარების ღონისძიებების პრიორიტეტიზაცია ფოთი-ანაკლია-ზუგდიდის მიმართულებით და ზუგდიდი-ბათუმი-ფოთის სატრანსპორტო კავშირების გაუმჯობესება. გაძლიერდება მუნიციპალური სატრანსპორტო კავშირები ანაკლიასთან და ანაკლია-განმუხურის სანაპირო ზოლის განვითარება შესაბამისი ინფრასტრუქტურული და რეკრეაციული ზონების მშენებლობა/განახლების გზით. გარდა ამისა, მოხდება ზუგდიდის ცენტრალური ბულვარის განვითარება/რეაბილიტაცია; მდ. ჩხოუშის სანაპიროზე აშენდება საავტომობილო გზები და ხიდები, რაც ხელს შეუწყობს ქალაქის გაფართოებას და განვითარებას. ასევე, განხორციელდება ცენტრალური რკინიგზის სადგურის ქალაქის ცენტრიდან გატანა და აღნიშნული ადგილის ურბანული განახლება. მოეწყობა სარეკრეაციო ზონები; მუნიციპალიტეტში განხორციელდება შიდა გზების მოწესრიგება, წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების განვითარება, საგანმანათლებლო-სპორტული ინფრასტრუქტურის აღდგენა/განვითარება.

- მარნეული - მუნიციპალიტეტის აგროსამრეწველო შესაძლებლობების სრულად ათვისების მიზნით, განხორციელდება აგროწარმოებისა და ლოჯისტიკის მიმართულებით, ახალი ტექნოლოგიების და მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობა, ექსტენციისა და მომსახურების ცენტრების შექმნა-განვითარება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სასმელი წყლის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას; ასევე სარწყავი სისტემების და შიდა გზების რეაბილიტაცია/განვითარებას.

- გურჯაანი - მუნიციპალიტეტის პოტენციალის გათვალისწინებით, განხორციელდება ღვინის წარმოების განვითარება და „მეღვინეობის“ ჰაბის შექმნა დამატებითი ობიექტების პოპულარიზაციისთვის, ასევე ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სერვისების მევენახეობა-მეღვინეობასთან ინტეგრაცია. მოხდება ისტორიული სოფელი ველისციხის ურბანული განახლება და ახალი ტურისტული მიზიდულობის ცენტრის ჩამოყალიბება. პარალელურად, განხორციელდება წყალმომარაგება/წყალარინების სისტემების შექმნა/განვითარება, ასევე, საგანმანათლებლო-სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება.

- თელავი - განხორციელდება თელავის ისტორიული ცენტრის განახლება/რეაბილიტაცია. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა უწყვეტი ხარისხიანი წყალმომარაგების სისტემის შექმნას. თელავში შეიქმნება უნი-კამპუსის ტიპის საუნივერსიტეტო სივრცე, სადაც უნივერსიტეტებს შეეძლებათ პროგრამების სრული, ან პერიოდული განხორციელება. კონცეფცია ეფუძნება უკვე არსებული უნივერსიტეტების მიერ, როგორც მატერიალური, ისე აკადემიური პერსონალის გაზიარების პრინციპს. ამასთან, თელავი გახდება საფესტივალო ქალაქი, ადგილობრივი ახალგაზრდული ინიციატივების საფუძველზე, შეიქმნება მუდმივმოქმედი კულტურული სივრცეები. აღნიშნული ინიციატივა ვიზიტორს, აქტიური და მრავალფეროვანი დასვენების შესაძლებლობას მისცემს.

- მცხეთა - დამტკიცდება მცხეთის განვითარების გეგმა, რომელიც იქნება სახელმწიფოებრივად სწორი და ამავე დროს, მაქსიმალურად გაითვალისწინებს ადგილობრივი მოსახლეობის და სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ინტერესებს. გენგეგმის დამტკიცების საფუძველზე, განხორციელდება მცხეთის ისტორიული ნაწილის განვითარება/რეაბილიტაცია, ახალი ტურისტული ობიექტების მშენებლობა/განვითარება. გარდა ამისა, განხორციელდება საგანმანათლებლო-სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია/მშენებლობა.

- ონი - ამბროლაურის აეროპორტის შესაძლებლობების გამოყენების გზით, მოხდება ტურიზმის პოტენციალის გაძლიერება, რისთვისაც განხორციელდება ახალი ტურისტული ობიექტების შექმნა და არსებულის აღდგენა/რეაბილიტაცია. აქცენტი გაკეთდება ონის კულტურული ცენტრის შემდგომ განვითარებაზე, მათ შორის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა/რეაბილიტაციის გზით.

- ოზურგეთი - განხორციელდება ოზურგეთის რაიონის სოფელ მერიის აეროდრომის აღდგენა/გარდაქმნა, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ჩართვას საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემებში. გარდა ამისა, პრიორიტეტული იქნება საბაზისო ინფრასტრუქტურის განვითარება/რეაბილიტაცია, მათ შორის, საგზაო ინფრასტრუქტურა, წყალმომარაგება-წყალარინების სისტემები, მელიორაცია, ასევე საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა (სკოლები და ბალები).

- ახალციხე - მუნიციპალიტეტში და მთლიანად რეგიონში სოფლის მეურნეობის განვითარების პოტენციალის და სოფლის მეურნეობაში დასაქმების მაღალი პროცენტული წილის გათვალისწინებით, აგროწარმოების, ასევე გადამამუშავებელი/შემნახველი ინფრასტრუქტურის მიმართულებით განხორციელდება მნიშვნელოვანი ინვესტიციები და ხელშეწყობის პროგრამები სახელმწიფოს და კერძო სექტორის თანამშრომლობით და მის წასახალისებლად. გაგრძელდება ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სასმელი წყლის და სარწყავი სისტემის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

- მესტია - მესტიის და მთლიანად მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ათვისებისთვის, განხორციელდება ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის, ტურისტული მარშრუტების მარკირება, ტურისტული ობიექტების რუკაზე დატანა, ტურისტული ობიექტების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი პრიორიტეტი იქნება მთელი რიგი ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარება, როგორცაა საკანალიზაციო სისტემის გამართვა, სატრანსპორტო და სოფლებს შორის დამაკავშირებელი გზების მშენებლობა/რეაბილიტაცია, სასმელი წყლის ინფრასტრუქტურის შექმნა/რეაბილიტაცია, ახალგაზრდული სივრცეების მოწყობა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა-რეაბილიტაცია, სასკოლო-საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და სხვა.

რეგიონებში მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებით, ხელი შეეწყობა რეგიონების ეკონომიკური პოტენციალის ათვისებას და დასაქმების მეტი პერსპექტივების გაჩენას.

ვერთიანდებით საქართველოსთვის!

